



სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

საქართველოს ისტორია

პროგრამის სახელწოდება

საქართველოს ისტორია

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

დოქტორანტურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის კოდი

ისტორიის დოქტორი 1004

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტთა ზღვრული ოდენობა

„სადოქტორო პროგრამაზე დასაშვებად საჭიროა აპლიკანტს ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებებში, სამართლისმცოდნეობაში, თეოლოგიაში. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭებათ იმ კონკურსანტებს, რომელთაც ექნებათ სამეცნიერო პუბლიკაციები, მიღებული აქვთ მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო (მათ შორის სტუდენტთა და მაგისტრანტთა) კონფერენციებში. ყურადღება მიექცევა პუბლიკაციების არა მხოლოდ რაოდენობას არამედ ხარისხს, მეცნიერულ სიახლეს. ამას დაადგენს გამოცდების მიმღები კომისია. 1 პუბლიკაცია 1 ქულაა, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა 1 ქულა და ა.შ.

- აპლიკანტს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) არანაკლებ **B2** დონეზე ცოდნა. ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში კონკურსანტი აბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას/ტესტირებას მის მიერ არჩეულ უცხო ენაში. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 51 ქულას.
- საქართველოს ისტორიის პრობლემატიკის ზოგადი ცოდნის შეფასება მოხდება გამოცდაზე სკოლაში შექმნილ დარგობრივ კომისიასთან;

დამატებითი მოთხოვნები

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს

- ა) სამოტივაციო წერილი
- ბ) სავარაუდო საკვლევე თემის კონცეფცია
- გ) პროგრამით გათვალისწინებულ ვადაში მიღწევის გეგმა.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრება 12 სტუდენტით.

სტრუქტურა და სწავლის ხანგრძლივობა

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის საშუალებით დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადაა 3 წელი. საკვალიფიკაციო ხარისხის მისაღებად დოქტორანტს დაგროვილი უნდა ჰქონდეს 180 ECTS კრედიტი, აქედან სასწავლო კომპონენტს დაეთმობა 48 ECTS კრედიტი (12 კრედიტი სავალდებულო სპეციალობის საგნები, 24 კრედიტი დოქტორანტის სემინარი 1-2, 6 კრედიტი - პროფესორის ასისტენტობა, 6 კრედიტი არჩევითი საუნივერსიტეტო სასწავლო კურსი), ხოლო დანარჩენი 132 ECTS კრედიტი დაეთმობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

პროგრამის ხელმძღვანელი

როინ მეტრეველი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი. ტელ. 2-93-19-67 (სამ.), 2-25-18-29 (ბ), 5-99-220-101 r.metreveli@sangu.edu.ge

სერგო ვარდოსანიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა. ტელ. 295 10 35 (ბ.) 599 57 51 90 (მობ.) ელ-ფოსტა sergovardosanidze@sangu.edu.ge

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია საქართველოს ისტორიის სფეროში მაღალი კვალიფიკაციის, კონკურენტუნარიანი მკვლევარი-ისტორიკოსების მომზადება, რომლებიც ეთიკური პრინციპების დაცვით, წარმატებით წარმართავენ თავიანთ საქმიანობას, როგორც სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ისე საგანმანათლებლო სივრცეში;

ასევე პროგრამის მიზანია:

- დოქტორანტს ჩამოუყალიბოს მეცნიერული კვლევის თანამედროვე, სწორი მეთოდოლოგიური პრინციპები.

- დოქტორანტს გამოუმუშაოს კვლევის მექანიზმებისა და მიდგომების, ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების ცოდნა და უნარ-ჩვევები.
- დოქტორანტმა შეძლოს წყაროთა ინტერპრეტირება, საისტორიო წყაროს გარეგანი და შინაგანი კრიტიკა, სუბიექტივიზმისა და ობიექტივიზმის პრობლემების განსაზღვრა წყაროში.
- დოქტორანტმა შეძლოს კრიტიკულად გაანალიზოს და შეაფასოს ისტორიოგრაფიაში უკვე დამკვიდრებული შეხედულებები, პასუხისმგებლობით მოეკიდოს ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას.

სწავლება-სწავლის მეთოდები

სწავლების შედეგების მისაღწევად გამოყენებული მეთოდები და აქტივობები შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის განმახორციელებელი, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, თავად განსაზღვრავს შესაბამისი სასწავლო კურსის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ მეთოდებს და აქტივობებს.

სწავლის შედეგები

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

- I. ათვისებული აქვს დარგის კვლევის მეთოდები;
- II. შეუძლია საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი კვლევების წარმოება საქართველოს ისტორიის მიმართულებით;
- III. გამოუმუშავებული აქვს სამეცნიერო სფეროში არსებულ შეხედულებათა კრიტიკული ანალიზის, საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირების ან გადაფასების უნარი;
- IV. შეუძლია ზეპირი და წერილობითი ფორმით, აკადემიური სტანდარტების სრული დაცვითა და ადეკვატური ენობრივი სტილით თავისი ცოდნისა და კვლევის შედეგების წარდგენა სამეცნიერო საზოგადოების წინაშე;
- V. აქვს საისტორიო წყაროების შეჯერების, სისტემატიზებისა და აკადემიური დასკვნების გამოტანის უნარი.
- VI. შეუძლია სამეცნიერო პოლემიკაში ჩართვა და ოპონირება პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით.
- VII. აცნობიერებს სწავლების ძირითად პრინციპებს, აქტიური სწავლების ფორმებს, შეფასების სახეებს, თანამედროვე ტექნოლოგიების როლს სწავლებაში.

სასწავლო კომპონენტი

სტუდენტის მიღწევების შეფასება

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ფორმები: შუალედური შეფასება (3 პრეზენტაცია), დასკვნითი გამოცდა. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს.

სტუდენტის მიღწევების შეფასება

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც უნდა დადასტურდეს შეფასების შედეგებით.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით.

შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

დადებითი შეფასებებია:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) ვერ ჩააბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. შენიშვნა: დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

(F) ჩაიჭრა –40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს:

შუალედური შეფასება - 60 ქულა: სამი პრეზენტაცია; თითოეული 20 ქულა; თითოეული პრეზენტაციის სავალდებულო მინიმუმი - 10 ქულა); პრეზენტაციები ჩატარდება სემესტრის განმავლობაში.

დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა (სავალდებულო მინიმუმი - 21 ქულა).

დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა და მასზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 30 ქულა. დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება მე-16-მე-19 სასწავლო კვირების განმავლობაში.

დამატებითი გამოცდა ჩატარდება დასკვნითი შეფასების გაცნობიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.

დოქტორანტის სამეცნიერო კომპონენტი

I სემესტრი: დოქტორანტისა და ხელმძღვანელის შეთანხმებით სადოქტორო (სადისერტაციო) თემის შერჩევა და სადოქტორო თემის გეგმის შედგენა, ბიბლიოგრაფიის დამუშავება

II სემესტრი: სადოქტორო თემის დამუშავების I ეტაპი: ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილ გამოკვლევათა ანალიზი და სხვა სამეცნიერო მასალის მოძიება, ნაშრომის პირველი ნაწილის დაწერა (შესავალი, საკითხის შესწავლის მდგომარეობა და სხვ) და ხელმძღვანელისთვის წარდგენა.

III სემესტრი: სადოქტორო თემის დამუშავების II ეტაპი: ხელმძღვანელისთვის ნაშრომის მორიგი ნაწილის წარდგენა და შესაბამისი მოხსენების წაკითხვა დოქტორანტის I კოლოკვიუმზე.

IV სემესტრი: სადოქტორო თემის დამუშავების III ეტაპი; ხელმძღვანელისთვის ნაშრომის მორიგი ნაწილის წარდგენა და შესაბამისი მოხსენების წაკითხვა

დოქტორანტის II კოლოკვიუმზე.

V სემესტრი: სადოქტორო თემის დამუშავების IV ეტაპი; ხელმძღვანელისთვის ნაშრომის შემდგომი ნაწილის წარდგენა და შესაბამისი მოხსენების წაკითხვა დოქტორანტის III კოლოკვიუმზე.

VI სემესტრი: სადოქტორო თემის საბოლოო სახის შექმნა, ნაშრომის წარდგენა სადისერტაციო საბჭოსათვის და დისერტაციის დაცვა.

შენიშვნა: გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სადისერტაციო ნაშრომის შესრულება-დაცვასთან დაკავშირებული აქტივობები შეიძლება იყოს:

- სამეცნიერო ხელმძღვანელთან კონსულტაციები;
- დოქტორანტის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის ფორმირება;
- დარგის აღიარებულ სპეციალისტებთან შეხვედრები და კონსულტაციები;
- სხვადასხვა სამეცნიერო შეხვედრებსა და ფორუმებში მონაწილეობა;

სადოქტორო თემის დამუშავების ეტაპებს აფასებს დოქტორანტის ხელმძღვანელი (შესაბამისი ინსტრუქციის შესაბამისად); ხელმძღვანელის დადებითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ნაშრომი გამოაქვს კოლოკვიუმზე.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

შეფასების წესი და კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი ინსტრუქციით.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასებები:

- (A) **ფრიადი (*summa cum laude*)** – შესანიშნავი ნაშრომი (91 ქულა და მეტი);
- (B) **ძალიან კარგი (*magna cum laude*)** - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება (81-90 ქულა);
- (C) **კარგი (*cum laude*)** - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება (71-80 ქულა);
- (D) **საშუალო (*bene*)** - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს (61-70 ქულა);
- (E) **დამაკმაყოფილებელი (*rite*)** - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60 ქულა);
- (FX) **არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*)** - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო ვერ დააკმაყოფილებს (41-50 ქულა);
- (F) **სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*)** - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს საერთოდ ვერ აკმაყოფილებს (40 ქულა და ნაკლები).

არადამაკმაყოფილებელი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება 6 თვიდან ერთ წლამდე გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების (F) მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორს შეეძლება სამეცნიერო მუშაობა გააგრძელოს დამოუკიდებლად საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემეტიკის კვლევის მიმართულებით.

დასაქმების სფეროები

საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს შემდეგ დაწესებულებებში:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო კურსის განმახორციელებლად, ასევე უნივერსიტეტში სხვადასხვა პოზიციაზე;
- სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში სხვადასხვა პოზიციაზე;
- კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში – არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, საგამომცემლო ორგანიზაციაში;
- საჯარო და კერძო სკოლებში (მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის ათვისების შემდეგ);
- ტურისტულ ორგანიზაციებში;
- მასმედიაში;
- სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში;

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სრულადაა დაკომპლექტებული ძირითადი სასწავლო ლიტერატურით. გარდა ამისა, ქართული უნივერსიტეტის აუდიტორიები და ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს მოიძიონ და გაეცნონ თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურას. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის აუდიტორიები კეთილმოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით (კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი...).

პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან შემოსავლები აღემატება ხარჯებს.

ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, მომზადდეს კვალიფიციური კადრი, რომელიც მზად იქნება კონკურენტუნარიან გარემოში იზრუნოს დარგის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანაზე.

დანართი 1 - სასწავლო გეგმა

საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები (ზოგადი კომპონენტი - 48 კრედიტი)

წინაპირობა	სასწავლო კურსი	ლექტორი	შემოდგომა	გაზაფხული
არ აქვს	კვლევის თანამედროვე მეთოდები ისტორიულ მეცნიერებაში	ზვიად მიმინოშვილი	6	
არ აქვს	სწავლების თანამედროვე მეთოდები	თამარ ლომაძე	6	
არ აქვს	დოქტორანტის სემინარი -1		12	
არ აქვს	დოქტორანტის სემინარი -2			12
არ აქვს	პროფესორის ასისტენტობა		6	

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (6 კრედიტი)

წინაპირობა	სასწავლო კურსი	ლექტორი	შემოდგომა	გაზაფხული
არ აქვს	საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის აქტუალური პრობლემები	სერგო ვარდოსანიძე	6	
არ აქვს	საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის აქტუალური პრობლემები	როინ მეტრეველი ვახტანგ გურული	6	
არ აქვს	განათლების კვლევის მეთოდები	ლია გიგაური	6	
სამეცნიერო კომპონენტი				

	<p>სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი - 132 კრედიტი</p>	<p>სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც პროგრამაში ჩართული პერსონალი, ასევე მოწვეული პერსონალი, რომელიც არ არის პროგრამის სასწავლო კურს(ებ)ის განმახორციელებელი, კერძოდ: ჯონი კვიციანი; ანანია ჯაფარიძე; ჯაბა სამუშია; გიორგი ოთხმეზური; ბუბა კუდავა; დავით კუხალაშვილი; თეიმურაზ ჯოჯუა; რუსუდან დაუშვილი; კობა ხარაძე; ლევან ჯიქია; როზეტა გუჯეჯიანი.</p>		
--	-----------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	--

დანართი 2 - სასწავლო კურსების კომპეტენციები

სასწავლო კურსი	კომპეტენციები						
	I	II	III	IV	V	VI	VII
კვლევის თანამედროვე მეთოდები ისტორიულ მეცნიერებაში	✓	✓	✓				
დოქტორანტის სემინარი -1		✓		✓	✓		
დოქტორანტის სემინარი -2		✓		✓	✓		
პროფესორის ასისტენტობა			✓		✓	✓	
სწავლების თანამედროვე მეთოდები							✓

დანართი 3 - სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

სწავლის შედეგების შეფასება წარმოებს უნივერსიტეტში დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესის“ შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია სწავლის თითოეული შედეგის შეფასების ინსტრუქცია და სამიზნე ნიშნულები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

სწავლის შედეგი სწავლის შედეგი ა: ათვისებული აქვს დარგის კვლევის მეთოდები; შეუძლია საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი კვლევების წარმოება საქართველოს ისტორიის მიმართულებით; გამომუშავებული აქვს სამეცნიერო სფეროში არსებულ შეხედულებათა კრიტიკული ანალიზის, საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირების ან გადაფასების უნარი

პროგრამის კომპონენტი/ კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას	შეფასების ფორმა	შეფასების მეთოდი	მტკიცებულება
კვლევის თანამედროვე მეთოდები ისტორიულ მეცნიერებაში	პრეზენტაცია დასკვნითი გამოცდა	დასკვნითი გამოცდის თეორიული საკითხები, პრეზენტაციის მასალები	დასკვნითი გამოცდის ნაწერი, პრეზენტაციის მასალები
საანგარიშო პერიოდი	პირველი სემესტრის ბოლო		
სამიზნე ნიშნული	სტუდენტების 100%-ის შემთხვევაში დასტურდება სწავლის შედეგებზე გასვლა. მათ შორის, სტუდენტთა საშუალოდ 20% აჩვენებს მაღიან მაღალ შედეგს.		
<p>სწავლის შედეგის შეფასების პროცესის აღწერა: სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პერიოდულად სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. სწავლების შედეგების შეფასება მოიცავს სამ ეტაპს:</p> <ul style="list-style-type: none"> - საპრეზენტაციო მასალების (მოხსენებების წერითი ვარიანტი, სლაიდშოუ...) მონიტორინგი; - დასკვნითი გამოცდების წერითი ნამუშევრების მონიტორინგი; - კომისიის წევრთა გასაუბრება დადებითი შეფასების მქონე სტუდენტებთან სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით. 			

სწავლის შედეგი ბ: შეუძლია საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი კვლევების წარმოება საქართველოს ისტორიის მიმართულებით; შეუძლია ზეპირი და წერილობითი ფორმით, აკადემიური სტანდარტების სრული დაცვითა და ადეკვატური ენობრივი სტილით თავისი ცოდნისა და კვლევის შედეგების წარდგენა სამეცნიერო საზოგადოების წინაშე; აქვს საისტორიო წყაროების შეჯერების, სისტემატიზებისა და აკადემიური დასკვნების გამოტანის უნარი.

პროგრამის კომპონენტი/ კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას	შეფასების ფორმა	შეფასების მეთოდი	მტკიცებულება
დოქტორანტის სემინარი -1	სემინარის პრეზენტაციის მასალები	პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები
დოქტორანტის სემინარი -2	სემინარის პრეზენტაციის მასალები	პრეზენტაცია	პრეზენტაციის მასალები
საანგარიშო პერიოდი	სავარაუდოდ მე-3 სემესტრის ბოლოს		
სამიზნე ნიშნული	სტუდენტების 100%-ის შემთხვევაში დასტურდება სწავლის შედეგებზე გასვლა. მათ შორის, სტუდენტთა საშუალოდ 20% აჩვენებს ძალიან მაღალ შედეგს.		
<p>სწავლის შედეგის შეფასების პროცესის აღწერა: სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პერიოდულად სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. სწავლების შედეგების შეფასება მოიცავს სამ ეტაპს:</p> <ul style="list-style-type: none"> - საპრეზენტაციო მასალების (მოხსენებების წერითი ვარიანტი, სლაიდშოუ...) მონიტორინგი; - დასკვნითი გამოცდების წერითი ნამუშევრების მონიტორინგი; <p>კომისიის წევრთა გასაუბრება დადებითი შეფასების მქონე სტუდენტებთან სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით.</p>			

სწავლის შედეგი გ: გამომუშავებული აქვს სამეცნიერო სფეროში არსებულ შეხედულებათა კრიტიკული ანალიზის, საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირების ან გადაფასების უნარი; აქვს საისტორიო წყაროების შეჯერების, სისტემატიზებისა და აკადემიური დასკვნების გამოტანის უნარი; შეუძლია სამეცნიერო პოლემიკაში ჩართვა და ოპონირება პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით.

პროგრამის კომპონენტი/ კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას	შეფასების ფორმა	შეფასების მეთოდი	მტკიცებულება
პროფესორის ასისტენტობა	პროფესორის ასისტენტობის ფარგლებში სამუშაოს შესრულება	შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია (ლექცია ...)	პროფესორის ასისტენტობის შეფასების ოქმი
საანგარიშო პერიოდი	სავარაუდოდ მე-2 სემესტრის ბოლოს		
სამიზნე ნიშნული	სტუდენტების 100%-ის შემთხვევაში დასტურდება სწავლის შედეგებზე გასვლა. მათ შორის, სტუდენტთა საშუალოდ 20% აჩვენებს ძალიან მაღალ შედეგს.		
<p>სწავლის შედეგის შეფასების პროცესის აღწერა: სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პერიოდულად სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. სწავლების შედეგების შეფასება მოიცავს სამ ეტაპს:</p> <ul style="list-style-type: none"> - საპრეზენტაციო მასალების (მოხსენებების წერითი ვარიანტი, სლაიდშოუ...) მონიტორინგი; - დასკვნითი გამოცდების წერითი ნამუშევრების მონიტორინგი; <p>კომისიის წევრთა გასაუბრება დადებითი შეფასების მქონე სტუდენტებთან სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით.</p>			

სწავლის შედეგი დ: აცნობიერებს სწავლების ძირითად პრინციპებს, აქტიური სწავლების ფორმებს, შეფასების სახეებს, თანამედროვე ტექნოლოგიების როლს სწავლებაში

პროგრამის კომპონენტი/ კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას	შეფასების ფორმა	შეფასების მეთოდი	მტკიცებულება
სწავლების თანამედროვე მეთოდები	პრეზენტაცია დასკვნითი გამოცდა,	დასკვნითი გამოცდის თეორიული საკითხები, პრეზენტაცია	დასკვნითი გამოცდის ნაწერი, პრეზენტაციის მასალები

საანგარიშო პერიოდი	პირველი სემესტრის ბოლო		
სამიზნე ნიშნული	სტუდენტების 100%-ის შემთხვევაში დასტურდება სწავლის შედეგებზე გასვლა. მათ შორის, სტუდენტთა საშუალოდ 20% აჩვენებს ძალიან მაღალ შედეგს.		
<p>სწავლის შედეგის შეფასების პროცესის აღწერა: სწავლების შედეგების შეფასება ხორციელდება პერიოდულად სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. სწავლების შედეგების შეფასება მოიცავს სამ ეტაპს:</p> <ul style="list-style-type: none"> - საპრეზენტაციო მასალების (მოხსენებების წერითი ვარიანტი, სლაიდშოუ...) მონიტორინგი; - დასკვნითი გამოცდების წერითი ნამუშევრების მონიტორინგი; <p>კომისიის წევრთა გასაუბრება დადებითი შეფასების მქონე სტუდენტებთან სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით.</p>			

დანართი 4 - საგანმანათლებლო პროგრამაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა დაკავშირებულია თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკასთან და პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტთან და გამომდინარეობს შემდეგი მიდგომებიდან:

- საგანმანათლებლო პროგრამის ყოველ 50 სტუდენტზე გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი აფილირებული აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი;
- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობის არანაკლებ 51%-ის განხორციელება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალით.

პროგრამაში საკონტაქტო საათების ორგანიზების ზოგადი წესი:

- სალექციო ფორმატით საკონტაქტო საათის ორგანიზებისას სტუდენტთა ჯგუფების ფორმირებისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსების სპეციფიკა;
- პრაქტიკული მუშაობისა და სასემინარო მუშაობისათვის ჯგუფში სტუდენტთა საშუალო, რეკომენდებული რაოდენობაა 30 სტუდენტი.

სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი, შესაბამისი კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, განსაზღვროს გამოსაყენებელი სწავლების მეთოდის შესაბამისად სტუდენტთა ზღვრული ოდენობა. ასეთის არსებობის, შემთხვევაში სტუდენტთა ოპტიმალური ოდენობის შესახებ ჩანაწერი კეთდება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.